საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამარ ბურჯანაძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**15**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**19**	**20**
წერის უნარი	**19**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**13**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**15**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**4**	**5**
პროფესიული აქტივობები	**3**	**5**
ქულათა ჯამი	**88**	**100**

სახელი, გვარი : ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თარიღი: 28/05-2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

თამარ ბურჯანაძის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის თამარ ბურჯანაძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი თამარ ბურჯანაძე არის კორექტული, თავდაჭერილი და გამოირჩევა მოსამართლის მაღალი წოდების შესაფერისი ქცევითა და იმიჯით. ამასთან, კანდიდატს სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და სამსახურებრივ და ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. მნიშვნელოვანია, რომ თამარ ბურჯანაძე კოლეგებში სარგებლობს კარგი საქმიანი და მორალური რეპუტაციით და რეკომენდატორები და მასთან პიროვნულ თუ პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირები კანდიდატს აფასებენ დადებითად. აღსანიშნავია, რომ მის მიმართ დისციპლინური
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

			დევნა არ ყოფილა დაწყებული.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	15	20	თამარ ბურჯანაძე სამოქალაქო სამართლის მიმართულებით დამაკმაყოფილებელ დონეზე ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ამასთან, კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი მეტნაკლებად იცნობს ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. აღსანიშნავია, რომ თამარ ბურჯანაძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა. იგი იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის I ჯგუფის მსმენელი და იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა 81-ე ადგილი.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	კანდიდატი გამოირჩევა ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 11 წლიანი გამოცდილებით. ასევე, მას აქვს ანალიტიკური აზროვნებისა და საკუთარი მსჯელობის დამაჯერებლად გადმოცემის უნარი.
წერის უნარი	19	20	თამარ ბურჯანაძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების[1] შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატი გამოირჩევა სათანადო წერის უნარით. კერძოდ, იგი მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში კარგად, განმარტავს სამართლებრივ ნორმებს და ანვითარებს თანმიმდევრულ და ნათელ მსჯელობას. ტექსტი აგებულია გამართული და მკითხველისთვის გასაგები ენით. აღსანიშნავია, რომ შესწავლილ დოკუმენტებში თვალსაჩინო გრამატიკული

[1] სასამართლო გადაწყვეტილება: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე N2/8906-17; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე N2/12083-16.

			ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15	კანდიდატს აქვს გამართული მეტყველების უნარი და გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის შესაძლებლობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო მოსმენაზე მას საკმაოდ ეტყობოდა მღელვარება და უჭირდა საკუთარი პოზიციის ღიად, ნათლად და დამაჯერებლად გადმოცემა.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	კანდიდატი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პროდუქტიულობით და გააჩნია საქმის სათანადოდ მომზადების, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ამასთან, 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში მაღალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა (86,4%) და უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებლები (83,1%).
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5	კანდიდატს აქვს თვითგანვითარების უნარი და გააჩნია ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. აღსანიშნავია, რომ იგი აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა სემინარში.
პროფესიული აქტივობა	3	5	თამარ ბურჯანაძე არც ისე აქტიურია პროფესიული აქტივობის კუთხით. კერძოდ, მას მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. თუმცა, იგი არ არის დაკავებული სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობით და არ აქვს მომზადებული სამართლებრივი პუბლიკაციები.
ქულათა ჯამი	88	100	
დასაბუთება	**უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით**		

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი თამარ ბურჯანაძე კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება.

აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით თამარ ბურჯანაძის შეფასება დაეყრდნო კანდიდატების შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, სს „კრედიტინფო საქართველოდან“ სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან ცნობა შემოსავლების შესახებ, საჯარო სამსახურის ბიუროდან ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, კანდიდატის სამუშაო ადგილიდან ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, თამარ ბურჯანაძის დახასიათების მიზნით მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ თამარ ბურჯანაძის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები, მახასიათებლები და სხვ.

ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით *<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლის</u>* თაობაზე ინფორმაციის მოძიების პროცესში სხვადასხვა დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციის გათვალიწსნებით შესაძლებელია ითქვას, რომ თამარ ბურჯანაძეს გააჩნია მოვალეობებისა დ პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება და იგი ჯეროვნად ასრულებს სამსახურებრივ, ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. კერძოდ, მას უარყოფითი საკრედიტო ისტორია არ უფიქსირდება, მის მიერ ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას რაიმე დარღვევას ადგილი არ ჰქონია, საგზაო მოძრაობის დარღვევისათვის მას ადმინისტრაციული სახდელი არ დაკისრებია და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ რეკომენდატორები და გამოკითხული პირები, რომლებსაც თამარ ბურჯანაძესთან აქვთ სამსახურებრივი თუ პირადი ხასიათის ურთიერთობა მის პირად თვისებებს აფასებენ დადებითად. ამასთან, რეკომენდატორები, აცხადებენ, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი და თავმდაბალი. მნიშვნელოვანია, რომ საჯარო მოსმენაზე თამარ ბურჯანაძე იყო კორექტული და მისი მხრიდან არ გამოვლენილა ისეთი გარემოება, რაც მის

	პიროვნულ კეთილსინდისიერებაში ან პროფესიული მოვალეობების ჯეროვნად შესრულებაში გააჩენდა ეჭვს ან კითხვის ნიშნებს. *დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლის* თაობაზე უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატის დახასიათებისას რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ იგი არის სამართლიანი, ობიექტური და პრინციპული. ამასთან, მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე, მიმაჩნია, რომ თამარ ბურჯანაძეს ახასიათებს პიროვნული სიმყარე, შეუვალობა, ზეგავლენის მიმართ მედეგობა და გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. თამარ ბურჯანაძის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით კი უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი, შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც იგი გამოირჩეოდა პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობით. *პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან* დაკავშირებით თამარ ბურჯანაძესთან გამართული საჯარო მოსმენის საფუძველზე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ იგი არის თავდაჭერილი და კორექტული. თუმცა, მას საკმაოდ ეტყობოდა მღელვარება და უჭირდა საკუთარი ემოციების მართვა. ამასთან, კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს, კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობისას არის კორექტული და გამოირჩევა მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. თამარ ბურჯანაძის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას გამოვლინდა ისიც, რომ მის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა ან სისხლისსამართლებრივი წარმოება არ დაწყებულა. იგი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. რაც შეეხება სასამართლოში წარმართულ დავებში მხარედ კანდიდატის მონაწილეობის საკითხს, ამის შესახებ უნდა ითქვას, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციის თანახმად, თამარ ბურჯანაძე მოპასუხედ მონაწილეობდა ერთ ადმინისტრაციულ საქმეში, დავის საგანს წარმოადგენდა ზიანის ანაზღაურება. მაგრამ, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 19 ნოემბრის განჩინებით სარჩელის დაუშვებლობის გამო შეწყდა საქმის წარმოება. *პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციის მახასიათებელს* რაც შეეხება, კანდიდატის პიროვნულ თვისებებს და მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, თამარ ბურჯანაძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში იძებნება მის მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით გავრცელებული სხვადასხვა სახის ინფორმაცია. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით კი მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში. *ფინანსური ვალდებულების მახასიათებლის* შესახებ, მოძიებული ინფორმაციის

	საფუძველზე შესაძლებელია აღინიშნოს, რომ თამარ ბურჯანაძეს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება და იგი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს. **უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე კანდიდატ თამარ ბურჯანაძის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას. კანდიდატის მიერ *<u>სამართლებრივი ნორმების ცოდნასთან დაკავშირებით</u>* უნდა აღინიშნოს, რომ თამარ ბურჯანაძე სამოქალაქო სამართლის მიმართულებით დამაკმაყოფილებელ დონეზე ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ამასთან, კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი მეტნაკლებად იცნობს ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა. იგი იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის I ჯგუფის მსმენელი და იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა 81-ე ადგილი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ კანდიდატების შესახებ

	მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2020 წლის 21 დეკემბერს თამარ ბურჯანაძესთან გაიმართა საჯარო მოსმენა.[2] საჯარო მოსმენისას კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი იყო თავდაჯერებული და კორექტული. თუმცა, მას დასმულ არაერთ შეკითხვაზე გაუჭირდა პასუხის გაცემა და საკუთარი პოზიციის ღიად, ნათლად და დასაბუთებულად გადმოცემა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კანდიდატს საკმაოდ ეტყობოდა მღელვარება რის გამოც იგი ერთი მხრივ ვერ ახერხებდა დასმული შეკითხვების სწორად აღქმას, მეორე მხრივ კი უჭირდა სხარტი, არგუმენტირებული და სიღრმისეული სამართლებრივი მსჯელობის განვითარება. რაც შეეხება *სამართლებრივი დასაბუთების, კომპეტენციისა და წერის უნარს*, თამარ ბურჯანაძეს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 11 წლიანი გამოცდილება. ამასთან, იგი ამჟამად წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს. თამარ ბურჯანაძის წერის უნართან დაკავშირებით, მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების[3] შესწავლის საფუძველზე კი შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატი გამოირჩევა სათანადო წერის უნარით. კერძოდ, იგი მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში კარგად, განმარტავს სამართლებრივ ნორმებს და ანვითარებს თანმიმდევრულ და ნათელ მსჯელობას. ტექსტი აგებულია გამართული და მკითხველისთვის გასაგები ენით. აღსანიშნავია, რომ შესწავლილ დოკუმენტებში თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა. კანდიდატის *ზეპირი კომუნიკაციის* უნართან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მას აქვს გამართული მეტყველების უნარი და გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის შესაძლებლობა. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე მას საჯარო მოსმენაზე უჭირდა საკუთარი პოზიციის ღიად, ნათლად და დამაჯერებლად გადმოცემა. თამარ ბურჯანაძის *პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევასთან დაკავშირებით,* კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და მის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, შესაძლებელია ითქვას, რომ იგი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით, გულმოდგინეობით, პროდუქტიულობით და გააჩნია საქმის ჯეროვნად, პასუხისმგებლობით მომზადების, მხარეებთან სათანადოდ მოქცევისა და სასამართლო სხდომის კარგად წარმართვის უნარი. ასევე, შემექმნა შთაბეჭდილება, რომ კანდიდატს აქვს სტრესულ სიტუაციაში მუშაობის, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი

[2] იხ. თამარ ბურჯანაძესთან გამართული საჯარო მოსმენის ვიდეოჩანაწერი: https://www.youtube.com/watch?v=bPpwUEwYcNI

[3] სასამართლო გადაწყვეტილება: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე N2/8906-17; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე N2/12083-16.

	აზროვნების შესაძლებლობა. უშუალოდ კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თაობაზე კი უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში მაღალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა (86,4%) და უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებლები (83,1%). კანდიდატის *აკადემიური მიღწევების, პროფესიული წვრთნისა და პროფესიული აქტივობას* რაც შეეხება, თამარ ბურჯანაძეს აქვს თვითგანვითარების უნარი და გააჩნია ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. აღსანიშნავია, რომ იგი აქტიურად იღებს მონაწილეობას მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. თუმცა, თამარ ბურჯანაძე არ არის დაკავებული სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობით და არ აქვს მომზადებული სამეცნიერო ან სხვა სახის პუბლიკაციები. **შეჯამება** ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანდიდატ თამარ ბურჯანაძესთან დაკავშირებით შესაძლებელია, ითქვას რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ მის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს 88 ქულას. ამრიგად, ვინაიდან უზენაესი სასამართლო არის მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლო და იგი ერთგვარად წარმოადგენს დოქტრინალურ სასამართლოს, რადგან დიდ როლს ასრულებს სამართლის ნორმის განმარტებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში, აღნიშნული სასამართლოს მოსამართლეობა დიდ პასუხისმგებლობასთან და სირთულეებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი ამ ეტაპზე არ არის მზად დაიკავოს აღნიშნული თანამდებობა.

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 28/05-2021 წ.